

არამატერიალური აქტივების ცნება საშემფასებლო საქმიანობაში

ტერმინს „არამატერიალური აქტივი“ ბევრი განსაზღვრება გააჩნია, რაც დაკავშირებულია იურიდიულ, საბუღალტრო და საგადასახადო მოღვაწეობის სფეროებთან. თუმცა, როგორც წესი, ეს განსაზღვრებები სპეციფიურია მათი დანიშნულებიდან გამომდინარე. არამატერიალური აქტივი შეფასების მიზნებიდან გამომდინარე უპირველეს ყოვლისა განხილული უნდა იყოს, როგორც ქონება. იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა აქტივი მატერიალური ან არამატერიალური, ის უნდა იყოს საკუთრების უფლებების ობიექტი. იმისათვის, რომ აქტივი იყოს საკუთრების უფლების ობიექტი, ის უნდა იყოს იდენტიფიცირებადი. რაც შეეხება არამატერიალურ აქტივს, მას უნდა ქონდეს ზუსტი და ვიწრო განსაზღვრება, რომელიც ახდენს მის, როგორც უნიკალური საკუთრებითი ობიექტის, იდენტიფიცირებას. თუ ვერ ხდება არამატერიალური ქონების ობიექტის იდენტიფიცირება და კონკრეტული აღწერა, ეს ობიექტი ვერ კვალიფიცირდება, როგორც არამატერიალური აქტივი. ეს „საკუთრება“ შეიძლება იყოს იდეა ან ცნება. თუმცა, ასეთი აღწერა ძალიან ზოგადია იმისათვის, რომ მის საფუძველზე ეს საკუთრება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც არამატერიალური აქტივი. იმისათვის რომ, არამატერიალური აქტივი კლასიფიცირებულ იქნას როგორც ქონება, მასზე უნდა ვრცელდებოდეს იურიდიული საკუთრების უფლებები. ის უნდა სარგებლობდეს საკუთრების ყველა იურიდიული უფლებებით, უპირატესობებით და პრივილეგიებით. ხშირად არამატერიალურ და მატერიალურ აქტივებს შორის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად მათ ფიზიკურობას ასახელებენ. თუმცა არამატერიალურ და მატერიალურ აქტივებს შორის განსხვავება მხოლოდ ფიზიკურ განსხვავებამდე არ დაიყვანება. რა თქმა უნდა, მანქანები, დანადგარები, ავტომობილები, მიწა, შენობები, ხელსაწყოები, ნივთები და ა.შ. შეიძლება დავინახოთ, შევხვოთ და ყველა ისინი მატერიალური აქტივებია. მაგრამ, ბუნებრივია, ზუსტად ასევე შეიძლება შევხვოთ და დავინახოთ კონტრაქტი, ლიცენზია, ფრანჩაიზის ხელშეკრულება, პროექტი, ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგია, პატენტზე ან საავტორო უფლებას სარეგისტრაციო მოწმობა, ლაბორატორიული ჟურნალი და ა.შ. მაშინ ბუნებრივი ისმის კითხვა ისინიც მატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ? რა თქმა უნდა არა, რადგანაც ძირითადი განსხვავება მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს შორის შემდეგია: პირველი, მატერიალური აქტივის ღირებულებას ქმნის მისი მატერიალური სუბსტანცია და მეორე, არამატერიალური აქტივის ღირებულებას ქმნის მისი არამატერიალური სუბსტანცია. მატერიალური აქტივები კი თავის მხრივ წარმოადგენენ არამატერიალური აქტივების ღირებულების შექმნისათვის მნიშვნელოვან ელემენტებს.

არამატერიალური აქტივების კლასიფიცირდება შესაძლებელია შემდეგ კატეგორიებად: უფლებები, ურთიერთკავშირები, არაიდენტიფიცირებადი არაგანცალკევებადი აქტივები ან ინტელექტუალური საკუთრება - უფლებები არსებობს საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, წერილობით ან სხვა ფორმით, რომელსაც მხარეებისათვის ეკონომიკური სარგებელი მოაქვს. მაგალითად: მიწოდების კონტრაქტები, პროდუქციის გასაღების კონტრაქტები, მომარაგების კონტრაქტები და სალიცენზიო შეთანხმებები და სხვ. ურთიერთკავშირი მხარეებს შორის, როგორც წესი, საკონტრაქტო ხასიათი არა აქვს. ისინი შეიძლება იყოს მოკლევადიანი და მეტად ღირებული მხარეებისათვის. მაგალითებია: სამუშაო ძალით (კადრებით) დაკომპლექტება, მომხმარებლებთან ურთიერთკავშირი, მომწოდებლებთან ურთიერთკავშირი, გამსაღებლებთან (დისტრიბუტორებთან)

ურთიერთკავშირი ან სტრუქტურული (იერარქიული) ურთიერთკავშირი მხარეებს შორის და სხვ. არაიდენტიფიცირებადი არაგანცალკევებადი აქტივები წარმოადგენს არამატერიალური აქტივების ნარჩენ ღირებულებას, რომელიც რჩება ყველა იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივის ღირებულების დადგენისა და მათი ღირებულების არამატერიალური აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოკლების შემდეგ. ალტერნატიული ცნებებია: მოცემული სამეურნეო სუბიექტისადმი კლიენტების ლოიალობის ღირებულება, შემოსავლების ნამეტი (ზემოგება) და ნარჩენი ღირებულება. არაიდენტიფიცირებად არაგანცალკევებად აქტივებს ხშირად გუდვილს უწოდებენ. გუდვილი, არის (1) მყიდველების დაბრუნების ტენდენცია სამეურნეო სუბიექტის მომსახურებაში; (2) სამეურნეო სუბიექტის ნამეტი შემოსავალი იდენტიფიცირებული აქტივების რეალურ უკუგებაზე (ზემოგება) და/ან (3) საწარმოს, როგორც ერთი მთლიანის, ღირებულების ნამეტი მისი შემადგენელი იდენტიფიცირებადი აქტივების აგრეგირებულ (ჯამურ) ღირებულებაზე. ინტელექტუალური საკუთრება არის არამატერიალური აქტივების სპეციფიკური კატეგორია, რადგან იგი, როგორც წესი, კანონით არის დაცული სხვების მიერ უნებართვოდ გამოყენებისაგან. მაგალითებია: სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები და საფირმო სახელწოდებები; საავტორო უფლებები; პატენტები; კომერციული საიდუმლო; ან ნოუჰაუ და სხვ. არამატერიალური ქონება. უფლებები და პრივილეგიები, რომლითაც აღჭურვილია არამატერიალური აქტივების მესაკუთრე. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები მოიცავენ ეკონომიკური ღირებულების ყველა ელემენტებს, რომლებიც გააჩნიათ სხვა არამატერიალურ აქტივებს. თუმცა, თავიანთი განსაკუთრებული სტატუსის გამო ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები სარგებლობონ სპეციალური იურიდიული აღიარებით და უფლებრივი დაცვით. არამატერიალური აქტივები ხშირად ფორმირდებიან საქმიანი ოპერაციების დროს. თუმცა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები იქმნებიან ადამიანის ინტელექტუალური ან შემოქმედებითი საქმიანობის გზით. იურიდიული რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების გამომგონებლებს აძლევს მოტივაციას და ასევე მისი შემქმნელების დაცვას უზრუნველყოფს. იმისათვის რომ ინტელექტუალური საკუთრების მფლობელებმა შეძლონ ამ განსაკუთრებული არამატერიალური აქტივების ეკონომიკური ღირებულების მთლიანი რეალიზაცია, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ინფორმაცია საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. ზოგადად მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრება იყოფა: შემოქმედებითი (მაგალითად, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა) და ინოვაციური (მაგალითად, პატენტები, წარმოების ნიმუშები, წარმოების საიდუმლოებები). ეს კლასიფიკაცია საკმარისად კარგად განმარტავს იმ ორ ძირითად მიზეზს, რატომაც სარგებლობენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები განსაკუთრებული იურიდიული აღიარებით და განსაკუთრებული უფლებრივი დაცვით. რაც შეეხება შემოქმედებით ინტელექტუალურ საკუთრებას, კანონდამცველების აზრით, მისი მფლობელები საჭიროებენ დაცვას. ანუ, შესაბამისი კანონი უნდა იქნეს შემუშავებული და საბოლოოდ მიღებული იმისათვის, რომ ამ საკუთრების მფლობელი, რომელმაც სავაჭრო ნიშნის ან მუსიკალური ნაწარმოების შექმნას დაახარჯა ბევრი დრო, ძალა და შესაძლებლობები, არ აღმოჩნდეს სიტუაციაში, რომელშიც სხვა პიროვნებას შეეძლება საკუთარი ინტერესების რეალიზაციისას გამოიყენოს მისი შემოქმედება.

არამატერიალური აქტივის ღირებულება გამომდინარეობს არამატერიალური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებებიდან. საზოგადოდ, არამატერიალური აქტივის ღირებულება არ გამომდინარეობს მხოლოდ იმ დოკუმენტიდან (ფურცლიდან), რომელზედაც ის დაბეჭდილია. არამატერიალური აქტივის ღირებულება გამომდინარეობს საკუთრების უფლებებიდან, რომლებიც დაკავშირებულია მის ხელშეუხებელ ფასეულობასთან (Intangible value), იმ არამატერიალურ ფაქტორებთან, რომლებიც მასზე მოქმედებენ და რომლებზედაც თავად მოქმედებს აქტივი. არამატერიალურ აქტივებს

გააჩნიათ მატერიალური აქტივებისგან განსხვავებული და განცალკავებული ღირებულება. ანალოგიურად, მატერიალურ აქტივებსაც გააჩნიათ არამატერიალური და სხვა მატერიალური აქტივებისგან განსხვავებული და განცალკავებული ღირებულება. ეს ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ღირებულების სრული რეალიზაციისათვის მატერიალურმა აქტივებმა შეიძლება მოითხოვონ არამატერიალური აქტივების გამოყენება. მაგალითად, კომპიუტერის აპარატული უზრუნველყოფამ (მატერიალური აქტივი) თავისი ღირებულების სრული რეალიზაციისათვის შეიძლება მოითხოვოს პროგრამული უზრუნველყოფის (არამატერიალური აქტივი) გამოყენება. არამატერიალური აქტივები, რომლებიც თავისთავად შეიძლება ფლობდნენ განცალკევებულ ღირებულებას, ასევე შეუძლიათ გაზარდონ იმ მატერიალური აქტივების ღირებულება, რომლებთანაც დაკავშირებულნი არიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არამატერიალურია აქტივის მთლიანი ღირებულება გადადის მატერიალურ აქტივზე, ან იმას რომ მატერიალური აქტივის მთლიანი ღირებულება გადადის არამატერიალურ აქტივზე. ღირებულებას, რომელიც შეაქვს არამატერიალურ აქტივებს მათთან დაკავშირებულ მატერიალურ აქტივებში, ზოგჯერ უწოდებენ ღირებულების ნამატს. ანუ არამატერიალური აქტივები ხშირად ზრდიან იმ მატერიალური აქტივების ღირებულებას, რომლებთანაც დაკავშირებულნი არიან. ანალოგიურად, მატერიალური აქტივები ხშირად ზრდიან იმ არამატერიალური აქტივების ღირებულებად, რომელთანაც არიან დაკავშირებულნი.

ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მიზნებიდან გამომდინარე არამატერიალური აქტივები შესაძლებელია დაიყოს: არამატერიალურ უძრავ ქონებად და არამატერიალურ მოძრავ ქონებად. არამატერიალური უძრავი ქონება შედგება ყველა იმ ინდივიდუალური ნივთიერი უფლებებისგან, მოგებისგან და სხვა უფლებებისგან, რომლებიც დამახასიათებელია ფიზიკური უძრავი ქონების საკუთრებისათვის. უძრავი ქონების საკუთრება (real property) განსხვავდება უძრავი ქონებისგან (real estate). უძრავი ქონება – სახელწოდება, ასოცირებადია მატერიალურ აქტივებთან: მიწა, ტერიტორიის კეთილმოწყობის ელემენტები, შენობები, ნაგებობები, შენობის კეთილმოწყობის და მოდერნიზაციის ელემენტები. უძრავი ქონების საკუთრება წარმოადგენს ინდივიდუალური იურიდიულ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალური უძრავი ქონების საკუთრებასთან. სინამდვილეში, უძრავი ქონების საკუთრების კატეგორია შეიცავს ყველა იმ არახელშესახებ უფლებებს და მოგებებს, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების ფლობასთან. რადგან ყველა იურიდიული უფლება არის არახელშესახები, ასევე უძრავი ქონების საკუთრებაც არახელშესახებია. ამგვარად, უძრავი ქონების საკუთრების კატეგორია შეიცავს უძრავ ქონების ფლობასთან დაკავშირებულ ყველა არახელშესახებ უფლებებსა და მოგებებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Цыбулев П. Н. 2005. *Оценка интеллектуальной собственности*. Киев.
2. Рейли Р., Швайс Р. 2005. *Оценка нематериальных активов*.
3. Edited by Carsten Fink and Keith E. Maskus, 2005. *Intellectual Property and Development*. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.
4. <http://www.piipa.org/>
5. <http://www.patentarea.com/>
6. <http://www.ifacts.se/intangible-assets/>